ფონდი ოიოგეორგის ბრიგადა ფონდი

287 85

ეროვნული ბიბლიოთეკა
287 Опись 1 № 85

ეროვნული ბიბლიოთეკა
№ 287 Опись 1 № 85

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

დასკანირებულია
14.01.2025 20

43.

„ენა“, 1980, № 1 (გვ. 135-141)

აკაკი თოფურია

ჯვარცმა სხვათა გადასარჩენად

ცოტნეს მხატვრული სახის შექმნის გამო

მახსენდება ოცდაათიანი წლები... გრიგოლ აბაშიძის პირველი ლექსები სისტემატურად იბეჭდება გაზეთებშიც, ჟურნალებშიც...

და, აი, ბოლოს გამოჩნდა სულ პატარა წიგნაკი: თავფურცელზე ყვითელფრად — „ლექსები“. გამომცემლობა „ფედერაცია“.

გარეყდა — თხელი, მუქი, სადა.

მხატვრობის არავითარი ნიშან-კვალი...

მხოლოდ ავტორისეული ხელწერის ლითოგრაფიული გამოსახულება შავ ფონზე.

უპრეტენზიოდ, თითქოსდა მორცხვად, თითქოს ჩუმად გამოჩნდა ის პირველი პატარა წიგნაკი წიგნების მაშინდელ სამყაროში.

გამოჩნდა და... გრიგოლ აბაშიძის პოეტური სახელიც თან გამოაჩინა...

ორმოცი წელზე მეტი გავიდა იმ დროიდან.

სად არ მიტარებია სტუდენტობის ხანაში ნაყიდი წიგნები.

რამდენი ვერ ვზიდე, რამდენი დამეკარგა.

რამდენი მე თვითონ დავივიწყე.

ეს პატარა წიგნაკი კი დღესაც ამშვენებს ჩემს კარადებს.

მე ვიცვლიდი ადგილს და გარემოს, წიგნაკი კი — არა.

იგი ჩემს გულში, ჩემს სულში, ჩემს არსებაში ჩასახლდა ჩვენი ძველი და ახალი დროის გამოჩენილი პოეტების წიგნებთან ერთად.

ყოველი წიგნის, ყოველი ლექსის დამახსოვრებასაც აქვს თავისი ბიოგრაფია.

და ამ შემთხვევაში ყოველ მკითხველს თავისი საზომი, თავისი ალტერნატივა აქვს.

მათ შორის საერთო, გამაერთიანებელი ხაზი — სუბიექტურისა და ობიექტურის ურთიერთშერწყმის, ურთიერთ ორგანული შეერთების კანონზომიერებაშია საძიებელი.

ეს კანონზომიერება ადამიანთა სულიერი ცხოვრების ისტორიულ გამოცდილებებს ემყარება.

ჭეშმარიტი პოეტი ის არის, ვინც გაბრუნებს განვლილ განცდებთან, განწყობილებებთან, ფიქრებთან, საგნებისადმი დამოკიდებულების შენეულ პოზიციებთან, ვინც გაგრძნობინებს, რომ მისი სულიერი ალმაფრენა, მოწოდება და ექსტაზი თითქოს შენგან იწყება, შენგან იღებს საოთავეს, შენგან მაღლდება, შენგან ეხვევა სიტყვათა რაღაც ისეთ მაგიურ სამოსელში, რომელშიაც მერე უჩინარდები თვითონ შენ, მაგრამ არ იკარგება შენგან დაძრული გრძნობების ღელვა, იგი იქცევა დიდ ტალღად, რათა თავის მორევში მოაქციოს ყველა, ვისაც ამ ქვეყნად მინიჭებული აქვს ადამიანურ განცდათა უზენაესი ბედნიერება.

დიახ, პოეზია ამ ბედნიერების — ადამიანურ განცდათა უზენაესი ბედნიერების ალუსებელი საწყაულია.

ამიტომ ადამიანები მუდამ ილტვიან მისკენ.

ისე როგორც მზე ათბობს და აცოცხლებს ყოველ სულიერს, ყოველ ადამიანს სჭირდება პოეზია თავისი სულის გასახარად და ასამაღლებლად.

ასე ხდება სუბიექტურისა და ობიექტურის ურთიერთ გადაჯვარედინება ლირიკის უმშვენიერეს სამყაროში.

სწორედ ასეთი პრინციპი ედო საფუძვლად ახალგაზრდობის წლებში ჩემს პირველ შეხვედრას გრიგოლ აბაშიძის ლირიკული ლექსების იმ პატარა წიგნთან, იმ წიგნში მოთავსებულ ამ ერთ ლექსთან, რომელმაც მაიძულა ორმოცი წელიწადი მეტარებინა წიგნაკი — ტვირთად, მასში ჩაქსოვილი ცხოვრებისეული აზრი კი — გუ-

ლისა და სულის სახალისო უბერებელ ვარდად.

აზრი! — იგი უმთავრესზე უმთავრესია.

მაგრამ პოეზიის სილამაზე აზრისა და განცდის, სიტყვისა და სახის ემოციური მთლიანობაა.

აქედან — ესთეტიკური სიხარულისაკენ.

ასეთია ლექსის შეგრძნების, აღქმის, მისი შემეცნებისა და სუბიექტურიდან (შემქმნელიდან) ობიექტურში (მკითხველში) შეჭრის ერთადერთი სწორი გზა.

ეს გზა გავიარე მეც მაშინ, როცა გატაცებით ვკითხულობდი გრიგოლ აბაშიძის ლექსების იმ პირველ კრებულს.

და აი, მიუხედავად ოთხი ათეული წელიწადის განვლისა, მოწყენილობის ჟამს, სიჭაბუკის და სიყვარულის ნანგრევების მოსაგონებლად, ახლაც ხშირად ფიქრებში უხმოდ ვიმეორებ ხოლმე:

შენზე იტყვიან ბევრნაირ იგავს,
სასაცილოს და ამბავს რიგიანს,
შენ სიცოცხლეში ეშმაკი იყავ,
მოკვდი და მაინც არ წაგიგია!

ვლილინებ და მელიმება. გული იწმინდება ათასგვარი მეწყერული ნალექისაგან.

არც მთლიანად ლექსი და არც ეს სტროფი არ ხასიათდება რაიმე საყურადღებო სოციალური პრობლემატიკით. ლიტერატურაში სოციალური პრობლემატიკა ყოველთვის განსაზღვრულია საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტული დროით, ეპოქის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პირობებით. სიყვარულის მარადიული პრობლემის სრულიად ახლებური გადაწყვეტა ამ ლექსში მიღწეულია ერთი შეხედვით უმნიშვნელო ყოფითი დეტალის, ინტიმური გრძნობის, ლეგენდებისა და ზღაპრების პოეტური მოდიფიკაციის საფუძველზე. ხალასი შემოქმედებითი ნიჭის წყალობით ამ გზით შექმნილმა პოეტურმა სახემ ფრთები გამოისხა. იგი გამოირჩევა დიდი მხატვრული ფერადოვნებით, აზრობრივ-ემოციური ელერადობით და სიცოცხლისუნარიანობით.

ლექსში „ის ყელზე მოხვეულ მელას“ მსუბუქი იუმორი და მსუსხავი სარკაზმი თითქოს უკიდურეს საზღვრებამდეა დაყვანილი. და უეცრად ყველაფერი ყირამალა დგება, როცა კითხულობ მის მომდევნო სტროფებს:

ქარში, წვიმაში, ზამთრის ამინდში
რჩებით სიცივის და გზის ამარა.
ამოისუნთქავს, ბეწვებს აგიშლის
და სანდომიან ტუჩებს ჩამალავს.
თვალები შავი არ თმობენ ლოდინს
თვალნი — ყაყაჩოს შავი ხალები...
მე შენ ადგილზე გავცოცხლდებოდი
და სამუდამოდ გავიხარებდი.

რითმული სიახლე, განწყობილების გადმოცემის პათეტიკური ტონი, აზრის სიცხადე — ყველაფერი ერთად აქ ქმნის რეალისტურ მიმზიდველ სურათს, რომლის ფერთა ელვარებას განსაკუთრებულ ძალას და იერს ანიჭებს ხაუცხოო ტროპული შედარება: „თვალნი — ყაყაჩოს შავი ხალები“. აქედანაა წარმოშობილი „სამუდამო სიხარულის“ ფორმულა, როგორც ზოგადსაკაცობრიო იდეალი. ეს პიროვნული ჩარჩოებიდან დიადისა და ამაღლებულისაკენ ლტოლვის ის ნიშანი იყო, რომელიც ლექსს მაშინვე პოეზიად, მის დამწერს კი ნამდვილ პოეტად აქცევს.

აღსანიშნავია, იმ პირველი წიგნის ოცდაერთი ლექსიდან გრიგოლ აბაშიძემ ხუთი უცვლელად შეიტანა 1978 წელს „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამოცემული მისი საუკეთესო ლირიკული ლექსების ახალ წიგნში. ესენია: „დედასთან“, „ცაცინათელა“, „მემინდე“, „ქურდი ნიკორა“ და „...ის ყელზე მოხვეულ მელას“, რომელზედაც საგანგებოდ შევჩერდით ზემოთ.

შეიძლება ერთგვარი დასკვნის სახით გავიმეოროთ ცნობილი მოარული აზრები: კვდება ყოველი ცოცხალი არსება. ცოცხლობს ყოველი კარგი ლექსი. ზოგჯერ დროჟამსაც ეკიდება ობი. ჭეშმარიტ ლექსს კი — არასოდეს. მხოლოდ მას შეუძლია უანგაროდ დაგიამოს მძიმე სულიერი ტკივილები. გათქმევინოს: ოხვრა არის შვება უბედურისაო.

ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ, სიცოცხლის გარკვეულ ეტაპზე, სიბერიდან სიჭაბუკისაკენ მოხედვას, მასთან წამიერ დაბრუნებას, პირველი სიყვარულის გახსენებას და ოცნებათა ბურანში მის დამჭკნარ ყვავილებთან გარინდებით, მოკრძალებით და სინანულით ღამის გათევასაც ნიშნავს!

და სანამ ადამიანის ყოფა და არსობა არ გაქრება, არ ჩაკვდება მასში ტრფიალების გრძნობა და მოგონების სიამე. არ მოხდება მისი სულის ავტომატიზირება. არ დაიჟანგება ლექსი, რომელიც ისტორიამ დარაჯად დააყენა თაობათა სულიერი ცხოვრების გზაზე.

* * *

გრიგოლ აბაშიძის ლირიკულ პოეზიას იმთავითვე დაეტყო ეპიკურობისა და ისტორიზმისაკენ გადახრის ნიშნები. ამის პირველი აშკარა მაჩვენებელი იყო ხალხური ეპოსიდან შექმნილი მისი პირველი ვრცელი პოეტური ნაწარმოები „ასფურცელა“, რომელიც სწორედ ზემოხსენებული პირველი კრებულის ბოლო ნაწილშია მოთავსებული. თანდათან პოეტის შემოქმედებითი განვითარების გზაზე, ლირიკასთან ერთად, პოეტურმა ეპოსმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა. ჯერ კიდევ ომამდე ამ მხრივ მკითხველთა ყურადღება და ინტერესი დაიმახსოვრა გრიგოლ აბაშიძის მიერ 1940 წელს ცალკე წიგნად გამო-

ქვეყნებულმა პოემამ „შავი ქალაქის გაზაფხული", რომელშიაც 1905-იან წლებში ჭიათურის მარგანეცის მადაროების მუშათა რევოლუციური მოძრაობის ისტორიული წარსულია გამოხატული.

საბჭოთა პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის იდეის გამოხატვაში გრიგოლ აბაშიძე აგრძელებს, აღრმავებს და ავითარებს ქართული საბჭოთა ლიტერატურის მაგისტრალურ ხაზს, მის მდიდარ ტრადიციებს. ხამამულო ომმა ამ მხრივ კიდევ უფრო გაამძაფრა პოეტის გამომახატველობითი ფორმები და საშუალებები. არა ერთი ბრწყინვალე ლირიკული ნაწარმოების გარდა („ძლევამოსილი", „ტანკების დუელი", „მტრები", „გაზაფხული" და სხვ.), გრიგოლ აბაშიძემ ამ თემას მიუძღვნა ორი კლასიკური მნიშვნელობის პოემა „ძლევის ქედი" (1943) და „ზარზმის ზმანება" (1946).

თუ პირველში მთავარი პერსონაჟის — გიორგის ხასიათის გამოკვეთის გზით დიდი დამაჯერებლობითა და სისავსით იყო გამოხატული კავკასიის გმირული დაცვის კონკრეტულ მაგალითებზე გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლის ცოცხალი, შთამბეჭდავი სურათები, მეორეში მთავარი აქცენტი გადატანილი იყო ომის ძლევამოსილი დამთავრების შემდეგ იმ ღრმა ფსიქოლოგიური ასპექტებისადმი, რომლებიც უნდა წარმოშობილიყო და წარმოიშვა კიდეც ომში დაღუპულთა უკვდავყოფის, მათი ხსოვნის გამოვლენის სხვადასხვა სიტუაციებთან დაკავშირებით. პოემაში დაძაბულობას და ტრაგიკულობას ქმნის არა დედის სიყვარული შვილისადმი — ეს ისედაც გარკვეული და გასაგები იქნებოდა, — არამედ ის მძიმე დრამატული კოლიზია, რომელიც ამ სიყვარულს გვიჩვენებს სრულიად განსხვავებული, თავისებური და ახლებური ნიშნით.

ომის წლებში რაჭიდან მესხეთში ჩასახლებული მოხუცი ქალის ყოველდღიურ გოდებაში მტერთან ბრძოლის დროს დაღუპული შვილის დატირების გარდა უზარმაზარი სულიერი ტკივილი იგრძნობა. ეს არის საყოველთაო, ზოგადი ტკივილის ანარეკლი; რაც უფრო ვრწმუნდებით, რომ დედამ ნამდვილად შვილის ხაფლავს მიაგნო, რომ ყირიმის ნაომარი ადგილებიდან მისი ძვლების გადმოსვენება საკუთარ მიწაწყალზე ეს მისთვის მხოლოდ შინაგანი ტანჯვის ნაწილობრივი შემსუბუქებაა, ჩვენ მით უფრო ვიმსჭვალებით მისდამი მეტი პატივისცემისა და სიბრალულის გრძნობით. მაგრამ პოემიდან ირკვევა, რომ მესხეთის განახლებულ მხარეში — ზარზმაში დედას შეცდომით ჩამოუსვენებია არა საკუთარი შვილის, არამედ სხვისი ცხედარი. დაღუპულად მიჩნეული ბოლოს ცოცხლად უბრუნდება თავის ოჯახს.

ეს მოულოდნელობა ემყარება მოულოდნელობებით აღსავსე ომისდროინდელ სინამდვილეს. ამით შემდგომი დრამატული კოლიზიისათვის თითქოს მოიხსნა ყოველგვარი საფუძველი. მაგრამ პოეტის წარმოსახვითი მახსტაბი კი არ მცირდება ამ ეპიზოდში, იგი იზრდება და ფართოვდება დედის იმ ფერად-ფერადი ზმანებების სახით, რომლებშიც იხატება ქართველი ქალის, ქართველი ხალხის მაღალი პატრიოტიზმი და ჰუმანიზმი.

1949-50 წლებში გრიგოლ აბაშიძემ შექმნა ლირიკული ლექსების ორი ციკლი „ხამხრეთის საზღვარზე" და „ლენინი ხამგორში", რომელთა გამაერთიანებელი ლეიტმოტივია მშვიდობისათვის ბრძოლა. მთელი ომისშემდგომი ეპოქა არსებითად გამსჭვალულია ამ ლეიტმოტივის პათოსით. როგორც კი ჩადგა ომის ქარიშხალი, მთელს ჩვენს პლანეტაზე დამყარებულ მშვიდობას კვლავ გაუჩნდნენ ხაშიში მოწინააღმდეგენი, კვლავ წამოყვეს თავი „ცივი ომის" აპოლოგეტებმა, კვლავ გაჩაღდა ძირგამომთხრელი იდეოლოგიური დივერსიები ჩვენი ხამშობლოს ძლიერების შესასუსტებლად.

და, აი, პოეტმა თავისი შემოქმედებითი ნიჭი, ძალა და უნარი მთლიანად დროის ამ მთავარ მოთხოვნას დაუმორჩილა. მან იმ ხანებში ერთ-ერთმა პირველმა იმოგზაურა საქართველოს უძველეს ხამხრეთ რაიონებში, ხადაც ისტორიულად არაერთხელ წყდებოდა მისი ყოფნა-არყოფნის ბედი. ლექსებში „ხარფი", „მონაპირე რაიკომებს", „უდე", „თავდაცვის ხაზი", „ქართულ სოფელში" და სხვ. პოეტმა გვიჩვენა ძველი და ახალი მესხეთის, ძველი და ახალი აჭარის ხაუცხოო კონტრასტული სურათები, გამოხატა მაღალი პატრიოტული გრძნობა, ხიძულვილი მტრებისადმი, ორი შეურიგებელი ბანაკის დაპირისპირების ფონზე ჩვენი ქვეყნის გამარჯვების ოპტიმისტური იდეა.

პოეტმა იცოდა, რომ მშვიდობისათვის ბრძოლის მოწინავე ხაზი, უპირველეს ყოვლისა, შრომით აღმშენებლობაში გადის. ასე შეერთდა მის ომისშემდგომ ლირიკულ პოეზიაში მშვიდობისა და შრომის თემა ერთ განუყოფელ მთლიანობად. ამ მხრივ ლექსების ციკლი „ლენინი ხამგორში" პირდაპირი, ლოგიკური გაგრძელებაა პოეტის მიერ ოსტატურად მოფიქრებული და ადრე დაწერილი ციკლისა „ხამხრეთის ხაზღვარზე". ხამგორის მშენებლობას ომისშემდგომი პერიოდის საქართველოს ეკონომიკური აღორძინებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ მისი ხრიოკ ველების მოხარწყავად, მინდვრების გასაცოცხლებლად და ასაყვავებლად არხის გათხრაში მონაწილეობას იღებდა მთელი ქართველი ხალხი. ლექსში „ხამგორის მამითადი" პოეტი უშღერის ხალხის ამ საერთო დარაზმულობას, რომელიც მას უნებურად აგონებს იმ დროს, როცა:

ლიხს აქედან, ლიხს იქიდან,
ქუდზე კაცი, ყველა,
ხმლით და შუბით მოდიოდა
მტერთან შესაბმელად.

მაგრამ ახლა? რამ შეჰყარა სამგორში „შევარდნების გროვა?“

განა მართლა ლაშქარია,
განა გლოვის ზარი?! —
ხმლის და შუბის ნაცვლად ელავს
წერაქვი და ბარი.
ლიხს აქედან, ლიხს იქიდან,
თავშეყრილნი ჯარად,
სამგორის ველს დახვევიან
მტრის ბანაკის დარად.

ქართველი ხალხის ასეთი ერთიანი გმირული შრომით ჩაიმარხა, პოეტის თქმით, სამარეში „სამგორული გვალვა“, „ქარიანი, მტვრიანი უდაბნო“, ახე იშვა იორის წყლით გაცოცხლებული ახალი სამგორი, რომელმაც კიდევ უფრო განამტკიცა ქვეყნად მშვიდობა და შრომა.

პარალელურად პოეტი თავის ლირიკულ შემოქმედებაში დროდადრო ყოველთვის იხსენებდა წარსულის გმირულ ეპიზოდებს, როგორც თანამედროვეობასთან დამაკავშირებელ ობიექტებს, როგორც საფუძველს იმ დიდებული ეპოქისა, რომელშიც მას მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა. ერთ თავის ადრინდელ ლირიკულ შედევრში გრიგოლ აბაშიძე ნათელჰყოფს რა წარსულის ისტორიულ ფესვებთან მისი სულიერი კავშირის საიდუმლოებას, გარკვევით და პირდაპირ მიუთითებს, რომ „მე მზის ხხივის და თბილისის ხნის ვარ, მეც გაჩენილი ვარ გორგასლანის“. ამიტომ, თუ დღეს „თბილისქალაქის“ მიწა „კვლავ ბრწყინავს“, მიწა, რომელიც „ხვამს ყველა დროის ჭალალედინებს“, ისე რა „გამაბედვინებს“ ლექსის წერას, თუ წარსულისადმი „ტრფობის ქარი“ გულში არ ჰქრისო. აქედან პოეტი ქმნის ორიგინალურ პოეტურ სახეს, რომელსაც ღრმა აზრობრივ-ემოციური დატვირთვა ეძლევა.

ნუ დაუჯერებ ზღაპრად მოთხრობილს,
მაგრამ ეს ლექსი არის ნამდვილი.
მე დაჭრილი ვარ, როგორც ხოხობი
და თბილისში ვარ ჩამოვარდნილი.

თბილისში ჩამოვარდნილი დაჭრილი ხოხობი! ეს სახე მკითხველის ცნობიერებაში ერთბაშად აცოცხლებს ხილამაზის მომხიბვლელობასთან ერთად იმ ტანჯვას და ტკივილს, რაც დღიდან დაარსებისა საქართველოს დედაქალაქმა განვლო. ხოლო დედაქალაქის ისტორია ქართველი ხალხის ისტორიაც არის. მისი დავიწყება არ შეიძლება. პოეტის ფიქრი მუდამ მზრუნველობით დასტრიალებდა წარსულის ლანდებს, იგონებდა იმ დროს, როცა:

ხნავდა თუ ვენახს ხარდანს უცვლიდა,
გარჯა თუ ლხინი ჰქონდა ახალი, —
თანდაყოლილი დედის მუცლიდან
ყველგან თან ჰქონდა ქართველს ფარხმალი.
(ლექსიდან „ჯაჭვგაუხდელი“).

მაგრამ „სვენწკის ჩვენებაში“ თუ „ულუ დავითის დაბრუნებაში“, „თელავის ციხის ლეგენდაში“ თუ „ნოსტეს ღრუბლებში“, ყველა იმ ლირიკულ ლექსსა და სიმღერაში, რომლებიც პოეტის ოცნებას წარსულთან აკავშირებდა, მას ჰქონდა დასახული მხოლოდ ერთი მიზანი, ერთი ამოცანა. ეს იყო საკუთარი მეობის შემზადება დიდი შემოქმედებითი შემართებისათვის, იმ მწვერვალის დასაპყრობად, რომლის სიმაღლეები ადრე ჯერ კიდევ თითქოს შორეულად და მიუწვდომლად ჩანდა.

და აი ქართულ საბჭოთა ლიტერატურას ლირიკოსი გრიგოლ აბაშიძე სულ მალე პროზის გამოჩენილ ოსტატად მოევლინა ისტორიულ ჟანრში. აქეთკენ მიმავალი გზა მან გაიარა არა მხოლოდ ეპიკურ-დრამატული ნაწარმოებების („ასფურცელა“, „ძლევის ქედი“, „ზარზმის ზმანება“, „მოგზაურობა ხამ დროში“ და სხვ.), არამედ ,უპირველეს ყოვლისა, 1942 წელს დაწერილი ისტორიული პოემის „გიორგი მეექვსის“ შექმნის, მასში გამოყენებული მხატვრულ-გამომსახველობითი პრინციპებისა და ხერხების წარმატებით მომარჯვების, სრულყოფისა და გაშლა-გაფართოების საფუძველზე.

ეს იყო ახალი, დიდი ეტაპის დასაწყისი გრიგოლ აბაშიძის შემოქმედებითი განვითარების გზაზე. იგი თითქმის ოცი წელიწადი გაგრძელდა; ახე გამოჩნდა 1957 წლიდან, გარკვეული შუალედებით, გრიგოლ აბაშიძის საყოველთაოდ ცნობილი დიდმნიშვნელოვანი პროზაული ქმნილებანი: „ლაშარელა“, „დიდი ღამე“ და „ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“. ამ თხზულებებში პროზაიკოსმა გრიგოლ აბაშიძემ შესანიშნავად ცხადყო თავისი სიძლიერე „გიორგი მეექვსის“ იმ ნაკლოვანებების დასაძლევად, რომლებმაც თავი იჩინეს ისტორიული წყაროებისა და მხატვრული გამონაგონის არაზომიერად, ერთგვარი უთანაბრობით შერწყმის პროცესში (გვარამ მარგველის — ფანტაზიის ნაყოფის და გიორგი მეექვსის — ისტორიული პიროვნების მხატვრულ სახეთა ურთიერთ დაპირისპირების ფონზე).

პოეტური ეპოსიდან ქართული ისტორიული პროზის სიმაღლეზე ასვლა, სიმაღლეზე, რომლის მწვერვალების მშვენებად მასზე წინ მეოცე საუკუნის მხატვრული სიტყვის ორი ასეთი ბუმბერაზი ოსტატი იდგა, როგორიც არიან ვა-

ხილ ბარნოვი და კონსტანტინე გამსახურდია, თავისთავად მოწმობს მწერლის დიდ შემოქმედებით წარმატებას, მის დიდ განსწავლულობას წარსულის იმ კონკრეტული ეპოქის დოკუმენტურ წყაროებსა და მასალებში, რომელთა შეცნობისა და სწორი იდეოლოგიური პოზიციით გააზრების გარეშე არ შეიძლებოდა თანამედროვე ეტაპზე ამ სფეროში საკუთარი ადგილის მოპოვება. გრიგოლ აბაშიძემ მტკიცედ დაიმკვიდრა ეს ადგილი. ამის განსაზღვრისას ყურადღებას იპყრობს სამი მთავარი ასპექტი:

პირველი და არსებითი არის გამოსახვის ობიექტის ორიგინალურობა, ეპოქის კოლორიტულობის თავისთავადი ელფერი, საქართველოს ისტორიის იმ მწვავე, ყველაზე მტკივნეული მონაკვეთის გამოსახვა და ჩვენება, რომლის შესახებ ან არაფერი ვიცოდით, ან ვიცოდით ძალზე მკრთალად, ძალზე ძუნწად.

მეორე და ასევე საკვანძო არის ის, რომ მეცამეტე საუკუნის საქართველოს მწირი ისტორიული ქრონიკა გრიგოლ აბაშიძის ზემოთ ხსენებული რომანებით შეივსო და შეიმოსა ცოცხალი, შთამაგონებელი სურათები, მძაფრი შინაგანი კატაკლიზმებითა და დრამატული კოლიზიებით აღსავსე სახელოვან წინაპართა საუკეთესო გმირული სახეებით, რის შედეგად გამთლიანდა ისტორიულ მოვლენათა ურთიერთკავშირის გზაზე არსებული ერთგვარი სიცალიერე, კლასიკური ხანის მომდევნო პერიოდი ჩვენს წინაშე წარმოდგა მთელი თავისი სიმართლით, რღვევადი და ხრწნადი, დიადი და მონუმენტური, საშინელი და საგარეო მომენტებისა და ელემენტების გლობალური გამოსახულებით.

მესამე და უმნიშვნელოვანესი, რაც განსაკუთრებულად ძვირფასია თანამედროვეობასთან გარდასული დროის დასაკავშირებლად, ეს არის საუკუნის ტრაგედიისა და ზნეობრივი გმირის პრობლემა, ამ პრობლემის არა მხოლოდ ზოგადფილოსოფიური, არამედ მისი კონკრეტული სოციალურ-ეთიკური და საზოგადოებრივ-ადმზრდელობითი ასპექტი, ქვეყნის და ხალხის ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი გაჩანაგების ჟამს მორალური იდეალის მიჩნევა ერის მთლიანობის შენარჩუნების გადამწყვეტ ფაქტორად.

თუ ამ ასპექტების მიხედვით გავიაზრებთ და გავაანალიზებთ გრიგოლ აბაშიძის ზემოთ აღნიშნულ სამ რომანს, დავინახავთ, რომ ლოგიკური და ისტორიული თანმიმდევრობის პრინციპი აქ მთლიანად და სავსებით ემორჩილება მხატვრული თხრობის იმ თანმიმდევრობის პრინციპს, რომელსაც მწერალი იყენებს. ვ. ი. ლენინი გვასწავლის: „ადამიანურ ემოციათა გარეშე არ ყოფილა, არ არის და არც შეიძლება იყოს ჭეშმარიტების ადამიანური ძიება“. ამ გაგებით, ნაწარმოების ყოველი ანალიზი ჭეშმარიტების „ადამიანური ძიებაა“, ხოლო ეს ძიება უპირველესად ნაწარმოების კითხვისაგან აღძრულ ემოციებს და შთაბეჭდილებებს უნდა ემყარებოდეს.

როგორიც არ უნდა იყოს „ლაშარელას“, „დიდი ღამის“ და „ცოტნეს ანუ ქართველთა დაცემის და ამაღლების“ კითხვისგან ჩვენს შეგრძნებაში დაგროვილი შთაბეჭდილება, საბოლოო ჯამში იგი მაინც გვაღელვებს და გვაფიქრებს თვით მოცემული კონკრეტულ-ისტორიული დროის რთულ ვითარებებზე, ისტორიული პიროვნების როლსა და ბედზე საზოგადოების განვითარების ისტორიაში, დავით აღმაშენებლისა და თამარის დროინდელი საქართველოს თანდათანობით შესუსტებაზე, მის რღვევასა და თანდათანობით კვლავ აღდგენაზე. ამ ნაწარმოებებში უპირველესად ჩვენ ვვხიბლავს ეპოქის მიძინებული თუ მივიწყებული სულის გამოღვიძების პროცესის ჩვენება. და რაც უფრო ღრმად ვიჭრებით მწერლის ხედვის არედან ეპოქის იდუმალებით მოცულ ლაბირინთებში, მით უფრო იზრდება და ფართოვდება ჩვენი შეხედულებების, ჩვენი წარმოდგენების წრე მისი რთული ბუნების შესაცნობად, მით უფრო ნათელი ხდება ამ სირთულისა და ამ თავისებურების მიზეზი და საფუძველი.

ახლა, როცა მკითხველს ხელთა აქვს „მეცამეტე საუკუნის ქართული ქრონიკის“ გრიგოლ აბაშიძისეული სამი წიგნი თავისი რამდენადმე ვრცელი ბოლოსიტყვაობით, არ არის ძნელი იმის დადგენა, თუ რა ძვირფასი განძი შემატა მწერალმა ჩვენს სულიერ კულტურას, ჩვენს სულიერ ცხოვრებას, ჩვენს ახალგაზრდობას, რომელსაც განსაკუთრებულად სჭირდება ზნეობრივად მისაბაძი იდეალი. არსებითად ამ იდეალის ფარდა მესამე წიგნით იხსნება. ამდენად „ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“ გვევლინება ტრილოგიის გვირგვინად, მის ისეთ გუმბათად, რომელიც მუდამ იკიაფებს განუსაზღვრელ დროსა და სივრცეში.

„ლაშარელას“ ღრუბლებიდან საქართველოს ცის ქვეშ ჩამომდგარი დიდი წყვდიადი, მწერლის მიერ „დიდ ღამედ“ წოდებული, თითქოს ერთბაშად ნათდება, როცა უმძიმესი ტანჯვის უსაშინელეს გოლგოთაზე თავისი ნებით, თავისი რწმენით, თავისი სინდისის კარნახით ადის ერის, საზოგადოების და ხალხის წრიდან გამოსული პიროვნება, ინდივიდი, რომელიც უამთააღმწერლის ძუნწი წყაროებიდან თუ შორეული ლეგენდების დაცრეცილი ბინდ-ბუნდიდან იქცა ზნეობრივი კათარზისის სიმბოლურ გმირად.

ეს პიროვნება, ეს გმირი იყო ცოტნე დადიანი, სამეგრელოს სამთავროს მფლობელი, ამიერიდან გრიგოლ აბაშიძის მადლიანი კალმის წყალობით ლიტერატურულ სამყაროში შემოსული ცოტნეს ანუ ქართველთა ამამაღლებლის დიდებული სახელით. ამით მთავრდება მეცამეტე საუკუნის საქართველოს ტრაგიკული ისტო-

რიის შავი ფურცლები და ამითვე იწყება მისი განახლების, აღდგენის, უკვდავების ახალი ხანა, ახალი განთიადი.

ქვეყნის, ხალხის და ერის ბედი ძნელუამობის, მონგოლთა ბატონობის უსასტიკესი განსაცდელის დროს საბოლოოდ გადაწყვიტა არა ხმალმა და ფიზიკურმა ძალამ, არა საბრძოლო ტექნიკამ და ხარდლობის სტრატეგიამ, არა ჯარმა და შეტევითმა ოპერაციამ, — ყველაფერი ეს კოხტისთავის შეთქმულების გაცემის შემდეგ ამაოდ იქცა, — არამედ პიროვნების გმირულმა ქცევამ, ზნეობრივმა სიწმინდემ, მოძმეებისათვის თავდადებამ. მემატიანის სიტყვებით, როცა მონგოლთა ნოინებმა ცოტნესგან გაიგეს შეთქმულებთან მისი მოსვლის ნამდვილი მიზეზი, „განკვირდეს სათნოებისათვის მისისა და თქუეს: „ვინათგან ნათესავნი ქართველთანი, ესოდენ კეთილ არიან და არა განცრუვდებიან, რომელ აფხაზეთით მოვიდა კაცი, რათა დადვას ჯული თავისი მოყუარეთათვის, და არა განცრუვნეს, ესრეთ განწირა თავი თვისი სიკუდიდ, — არა არს სიცრუე მათ შინა, და მის ძალით უბრალოდ ვპოვებთ. ამისათვის განვუტეოთ ყოველნი“.

და მართლაც ყველანი იხსნა ცოტნეს საქციელმა.

იხსნა არა მხოლოდ შეთქმულნი — ეგარსლან ბაკურციხელი, თორდვა პანკელი, ვარამ გაგელი, ხარგის თმოგველი, შოთა ჰერეთის ერისთავი, ყვარყვარე ციხისჯვარელი და სხვ.

იხსნა მთელი საქართველო, ქართველი ხალხი, ქართველი ერი.

არახოდეს არავის გამოუჩენია ასეთი რაინდობა, ასეთი ნებისყოფა, ასეთი თავგანწირვა!

არავინ იჭერდა და არავინ ესხმოდა თავს.

გზა წამებისგან ზეზეულად სიკვდილისა თვით აირჩია.

თვით იხილა საკუთარი თვალით როგორ ესეოდნენ გაშიშვლებულ შეთქმულებს თაფლწახმულ ტანზე ბუზები, ფუტკრები და კრაზანები და როგორ სწუწნიდნენ მათ სისხლს თაკარა მზეზე!

არასოდეს არავის გამოუგონია ასეთი სატანჯველი!

ასე იქმნებოდა მონგოლების იმპერია.

ასე გმინავდა თითქმის მთელი საუკუნე ქართველი ხალხი მათი ბატონობის უღელქვეშ.

შიშმა ლამის გასტეხა ამ ხალხის უდრეკი სული.

შინაგანმა რღვევამ და მორალურმა დაქვეითებამ კიდევ უფრო გააჩანაგა მისი ერთიანობის ხაძირკველი.

და მაინც აღდგა, ფენიქსებრ აღდგა და გადაურჩა გადაშენებას.

გადაურჩა იმიტომ, რომ „მსოფლიოს ხალხთა შორის ცოტას თუ დავასახელებთ, ქართველების გვერდით, რომელთა ისტორიას ფაქიზი ზნეობისა და მაღალი ადამიანობის, კეთილშობილი რაინდობისა და გმირული თავდადების ამდენი და ესოდენ დიდებული მაგალითი ამშვენებდეს. ამ მაგალითთაგან ყველაზე ნათელი და მიმზიდველი, ყველაზე ღრმა ადამიანური და ამაღლებული ცოტნე დადიანის თავდადების და რაინდობის ამბავია“.

ეს გრიგოლ აბაშიძის — ისტორიული მასალებისა და წყაროების ღრმა ანალიტიკოსის — სარწმუნო განაცხადია.

ხოლო ეს ადგილი კი...

„სარდაფიდან ცოტნე ამოვიდა, შეპყრობილებს მიუახლოვდა, წელს ზემოთ ტანთ გაიძრო და თაფლის წასმას შეუდგა. შეთქმულები გაოცებულნი მიაშტერდნენ.

— ცოტნე ხარ თუ მეჩვენება? — იკითხა ციხისჯვარელმა.

— ცოტნე ვარ, ყვარყვარე, ბატონო! დილამშვიდობისა!

— დილამშვიდობის, მთავარო! — გაისმა კანტიკუნტად.

— შენც შეგიპყრეს? ლიხთიმერეთშიაც მოგწვდნენ?

— არა, მე თვითონ მოვედი, ჩემი ფეხით!

— გაგიუდი, ცოტნე! — შეიცხადა თორდვა პანკელმა.

— სასიკვდილოდ როგორ მოდიოდი, ღვთივ გადარჩენილი... ან თავს რად წირავდი, ან ცოლშვილს რატომ ღუპავ? — ამოიოხრა ციხისჯვარელმა.

— თქვენთან ფიცით ვიყავ შეკრული და სასჯელი რომ თქვენთან ერთად არ გამეზიარებინა, ან თქვენ რას იტყოდით, ან ხალხი და ქვეყანა! — აუღელვებლად თქვა ცოტნემ, თაფლის წასმას მორჩა და ხელ-ფეხის შეკვრას შეუდგა“.

ეს ციტატი იმავე გრიგოლ აბაშიძის, როგორც მწერლის, როგორც მხატვრული სიტყვის ნამდვილი ოსტატის, მღელვარე ადამიანური განცდებით დატვირთული, უაღრესად დამაჯერებელი ღაღადისია, რომელიც შარავანდედის შუქად ეფინება მთელ ტრილოგიას ნიშნად მისი ჰუმანისტური იდეების ძლიერებისა.

დაცემის ხანის წიაღიდან გამობრწყინებული ჰუმანიზმი!

რუსთაველის ჰუმანიზმის პირდაპირი მემკვიდრე. მისი პირმშო, მისი ალმონაცენი.

ამით თითქოს წაიშალა უფსკრულის კვალი, შეერთდა ისტორიის ჯაჭვის ორი გაწყვეტილი რგოლი დავითისა და თამარის მეფობიდან (მე-12 საუკუნე) გიორგი ბრწყინვალის მეფობამდე (მე-14 საუკუნე).

თითქოს აღდგა დაკარგული მემკვიდრეობის კავშირი წინა და მომდევნო ისტორიულ მონაკვეთებს შორის.

თითქოს შეუცნობელის შეცნობის უტყუარ მოწმენი გავხდით.

ყოველშემთხვევაში — ის, რაც ერთ[illegible] თათვის იყო ხელშესახები, მხატვრული ნ[illegible]

მოების სახით, ახლა მისაუვდომი და საცნაური გახდა ყველასათვის.

თავისი დროის ტრაგედიის ფონზე ცოტნეს ზნეობრივი გმირობის გაცოცხლება რაღაც მკვდრეთით აღდგენას ჰგავს!

დააკვირდით ცოტნეს ცხოვრების გზას ბავშვობიდან უკანასკნელ დღემდე, მის გარემოს, აღზრდის, სწავლებისა და განათლების იმ წესებს, რომლებშიც იწრთობა და ყალიბდება მისი ხასიათი, ქცევა, შეგნება, მისი ზნეობა და იდეალი და დარწმუნდებით, რომ, ეპოქების ცვალებადობის მიუხედავად, ადამიანში მაღალი ადამიანური თვისებების ფორმირების პროცესი ყოველთვის ემყარება გარკვეულ კანონზომიერებას — მშობლიური, საზოგადოებრივი წრის ზენოქმედების, დადებითი, მისაბაძი, შთამაგონებელი მაგალითების ზეგავლენის ძალას.

ცოტნე ერთბაშად არ ამაღლებულა სულიერი გმირობის დონემდე.

აქეთკენ ეძახოდა მას პატარაობიდანვე ივლიანე მოძღვარი თავისი მაღალმეროიკული, მაღალზნეობრივი შეგონებებით, კლდეზე მიჯაჭვულ ამირანზე ხალხში გავრცელებული თქმულებებით და ლეგენდებით;

აქეთკენ უხმობდა ოდიშის სამთავრო მონასტრების ევროპაში განსწავლული მხატვარი მახარებელ ქობალია, ბერძენ მაკარიოსად მონათლული და მიღებული ღვთისმსახურების მიერ;

აქეთკენ მოუწოდებდა მამის — შერგილის და ბიძის — ვარდანის, ახლობელი და შორეული წინაპრების სახელოვანი ანბრძოლო ტრადიციები;

აქეთკენ აქეზებდნენ მაღალი თუ დაბალი ფენის, სამეფო თუ სამთავრო არისტოკრატიის მის გარშემო შემოკრებილი წარმომადგენლები;

და ბოლოს, აქეთკენ ლტოლვის სულისკვეთებით ზრდიდა მას მთელი ხალხი, არსებული სოციალ-პოლიტიკური ვითარება, საზოგადოებაში გაბატონებული მორალი და ეთიკა.

ძნელია აქ აკინძვა ნაწარმოებში გაბნეულ ყველა იმ ქადაგებათა, რომელთა ღრმააზროვანი სენტენციები დედის ნანასავით აკვნიდანვე ცხოვრების საგზურად გამოყვა ცოტნეს მეხსიერებას. მოვიტანთ მხოლოდ ზოგიერთს:

„უდიდესი ბედნიერება ის ბედნიერებაა, როცა ადამიანისათვის ტანჯვის სიმწარე სიამედ იქცევა. წამება კი მაშინ იქცევა სიამედ, როცა უკიდურესობამდე მისულ გამაბრუებელ ტკივილს ადამიანი ეჩვევა და ღრმად იმსჭვალება იმის შეგნებით, რომ კაცობრიობის სიკეთისათვის, სამშობლოსა და კაცთმოდგმის ბედნიერებისათვის იტანჯება“ (ივლიანე კარის მოძღვრის შეგონებებიდან).

„სხვათა გადასარჩენად ჯვარცმისა არ შეგეშინდეს. ეცადე ეგ რწმენა არასოდეს დაკარგო და ეოიშალო. რწმენის დაკარგვა ადამიანისათვის ყველაზე დიდი უბედურებაა“. (მხატვარ მაკარიოსის დარიგებებიდან).

„...ვაუკაცი ამ ქვეყნად იმიტომ ჩნდება, განსაცდელს გაუძლოს, განსაცდელის გაძლება კი მხოლოდ მაშინ შეუძლია ვაუკაცს, როცა მართალია და სამშობლოსათვის ან სარწმუნოებისათვის ღებულობს სატანჯველს“. (მამის — შერგილ დადიანის ნასწავლ-ნამოძღვრებიდან).

ასე ფაქიზდებოდა ცოტნეს გრძნობა, ასე იყლინთებოდა მისი სული, ასე ყალიბდებოდა მისი რწმენა, მსოფლგაგება, მისწრაფება, მორალურ-ეთიკური შეხედულებები და კრიტერიუმები.

ყოველივე ამან განაპირობა იმ გადაწყვეტილების მიღება, რომელმაც ცოტნეს სახელი ხალხის წარმოდგენაში იმთავითვე მტკიცედ დაუკავშირა ეროვნული გმირის რაობას.

ამ უკვდავი ეროვნული გმირის ცოცხალი ჭეშტვრული სახის შექმნაშია გრიგოლ აბაშიძის უდიდესი დამსახურება.

მთელი ტრილოგიის ლიტერატურული ღირებულების შესაფასებლად მხოლოდ ამ ერთი ფაქტის აღნიშვნაც იკმარებდა.

მაგრამ რამდენი რამ დარჩებოდა კიდევ უთქმელი!

და მაინც აქ სჯობს შეჩერება.

ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს ხომ თვითხილვა, თვითგანცდა, თვითგანსჯა წყვეტს.

დაე, მკითხველმა თვითონ იგრძნოს ნაწარმოების სიდიადე.

ჩვენ კი ამ წერილში დიდი ხელოვნებითი ქმნილების წინაშე მხოლოდ რიდი და კრძალვა, მდუმარე თაყვანისცემა და გულწრფელი სიყვარული გვინდოდა გამოგვეხატა.

გურამ გენაშვილი

რევაზ ინანიშვილის მოთხრობები

ომისშემდგომი პერიოდის ლიტერატურულ ცხოვრებას, ადრიდან გამოყოლილი ინერციის პარალელურად, თვისობრივად ახალი შემოქმედებითი პრინციპების ორგანიული შერწყმაც განსაზღვრავდა. უპირველეს ყოვლისა, მხედველობაშია მისაღები თემატიკური თუ სტილისტური გადახალისების, შემოქმედის ფსიქოლოგიურ მოდულაციათა ახლებური (ხშირად ტრადიციული არანუირების გზით) გაცხადების პრინციპები.

სოციალური თემატიკით აღბეჭდილი დიდი ეპიკური მხატვრული ტილოების, მათი კლასიკურ სიმაღლემდე ატანილი ნიმუშების ფონზე, განსხვავებული ესთეტიკური გარშემოწერილობით ამოიზარდა ახალი ლიტერატურული თაობის ინტერესთა წრე, მისწრაფებათა და აზრის მხატვრული გაცხადების განსხვავებული სტილისტიკა. ის, რასაც ისინი ამკვიდრებდნენ, ზოგჯერ მივიწყებულისა თუ ბანალობად ქცეული ჩვეულებრიობის (ტრადიცია მაქვს მხედველობაში) ახლებური გაცოცხლებაც იყო. ლიტერატურული თაობის მოსვლა, როგორც წესი, ესთეტიკურ მონაპოვართა კრიტიკულ გადასინჯვასაც ითვალისწინებს, მათს წინ მოსული თაობის ფსიქიკას კი ეუფლება გარკვეული ნიჰილიზმისა თუ გაღიზიანების მომთენთავი პათოსი — კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, როგორც წესი, ამგვარი დამოკიდებულება ჩვეულებრივი მორალური კლიმატის უფლებით სარგებლობს ხოლმე. ძალიან მიჭირს ეს „კანონიკური" მოდუსი იმ ლიტერატურულ თაობაზეც გავავრცელოთ, რომელმაც საოცარი მოკრძალებით, ინტელიგენტური ტაქტით და რაც მთავარია დიდი ნიჭით დაჯილდოვებული მხატვრული ნიმუშებით შემოაბიჯა ქართულ მწერლობაში და ორგანიულად შეერწყა მის უდიდეს მონაპოვართა გრანდიოზულ მხატვრულ სამყაროებს. ომის შემდგომი თაობის ყველაზე ზნიშვნელოვანი და ამდენად ყველასაგან გამოსარჩევი ნიშან-თვისება ალბათ ლირიკული ნაკადის, ფიქრიანი და ემოციურად უსაზღვრო შესაძლებლობათა წარმოჩენაა. ისინი თითქოს განერიდნენ რიტორიკული ორნამენტაციებით და დეკლამაციური კლიშეებით აღბეჭდილ სტილს და უფრო ძუნწი თუ მომთხოვნი გახდნენ სიტყვათა შერჩევისას. სიტყვათშეთანხმების გრაფიკული გამომსახველობა, დახვეწილი მეტაფორულობა და წერის კულტურის მაღალი დონე ამ თაობას ახალ მიღწევათა დაძლევის შესაძლებლობებს უსახავდა.

სხვათაშორის, ლირიკული ნაკადის პრიორიტეტი მხოლოდ ქართულ ლექსში არ გამყლავნებულა. მძლავრი ტრადიციით ნასაზრდოები ლირიკული პროზა ახალი ძალით აღორძინდა ამ თაობის პროზაიკოსთა შემოქმედებაშიც. და მათ შორის, ვინც თავიდანვე მთელი სიგრძე-სიგანით განსჭვრიტა საკუთარი შემოქმედებითი გზა და საოცარი ერთგულებით ემსახურა ღვთისაგან ნაბოძებ მუზას — რევაზ ინანიშვილია.

ლირიკული პროზის — როგორც ჟანრის — წარმომავლობა ალბათ ჯერ კიდევ ძველ ქართულ ლიტერატურაშია საძიებელი. ყოველ შემთხვევაში, გარკვეული ემბრიონალური ელემენტები ლირიკული წიაღსვლებისა, საკუთარი სულიერი სამყაროს პოეტურ-აღმსარებლობითი გადახსნისა და მკითხველის უშუალო თანაგანცდის ძიებისა, საცნაურსა ხდის ჩვენთვის ლირიკული პროზის სიუჟეტური სტრუქტურის ჯერ კიდევ არამყარი კონტურების აოსებობაა — აქ მხედველობაში გვაქვს ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები.

ლირიკული პროზის კლასიკური ნიმუშები უფრო მოგვიანებით — XIX საუკუნეშია საძიებელი. ვაჟა-ფშაველას გენიალური პროზა ამ თვალსაზრისით პირველი მძლავრი ნაბიჯებია,